

გორც ეს სომხურშია, თუმცა შესაძლოა, რომ უცხო მრავალთავიდანაც, კერძოდ სომხურიდან, მომდინარეობდეს უშუალოდ.

მაგრამ მაინც რა ნიშნების მიხედვით გვგონია, რომ ზემოთ დასახელებული თავები ქართული ძველი მრავალთავებისა სომხურიდან მომდინარეობენ?

I. საკსენებელი სერბისისი.

როდესაც სომხურსა და ქართულ ძველს შორის რაიმე კავშირი შეინიშნება, მათი ურთიერთისაგან თუ საერთო წყაროსაგან მომდინარეობის საკითხის გადასაწყვეტად პირველ ყოვლისა ენობრივი ანალიზია დასაყრდენი. თარგმანს, რაც უნდა დახელოვნებული პირის მიერ უნდა იყოს იგი შესრულებული, არ შეიძლება, ნებისთ თუ უნებლიეთ, არ ეტყობოდეს რაიმე მხრით დედნის გავლენა. ეს გავლენა კი თავს იჩენს ხოლმე არა იმდენად მორფოლოგიაში რამდენადაც სინტაქსს, სტილსა და ლექსიკაში. ამას გარდა ზოგჯერ მთარგმნელი დედნის ამათუიმ ადგილს სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს და ისიც ხშირად არა იმ მნიშვნელობით, რაც კონტექსტით არის საჭირო, არამედ სულ სხვა, უფერით. ხდება ისიც, რომ ესათუის სიტყვა არეულია მეორეში, რომელსაც შესაძლოა ფონემური რაიმე მსგავსება ჰქონდეს პირველთან.

ჩამოთვლილ "მომენტთაგან, ჩვენი ძველი აღნიშნავს როგორც ამათუიმ ადგილის ყალბად გაგების შემთხვევას, ისე ლექსიკურისა და, ცხადია, დედნის სტილებრივი გავლენის კვალსაც.

გაუგებრობის თუ აღრევის თვალსაჩინო ნიმუშად შესაძლოა დავასახელოთ შემდეგი:

სომხურში იკითხება:

**ხ. კაცხეან ჭ¹ კორციქხნჯ ან-
თი არხანან²...**

ქართულში გვაქვს.

და განძღეს და აღივსნეს კაცთა
მათ მართალთათა...

აქ სომხური **კორციქხნჯ ანთი არხანან** გაგებულია არა თავისი ნიშვნელობით („სიუხვითა მათ სისხლთათა“), არამედ აღრევით: **კორციქხნჯ ანთი არხანან** („კაცთა მათ მართალთათა“). ამას თხრობის შემდგომი მიმდინარეობაც მოწმობს, სადაც სისხლისა და არა „კაცთა მართალთათა-ს“ შესახებ არის გარკვევით ლაპარაკი.

შეიძლებოდა კიდევ ცალკე სიტყვების მიმართ ასეთი მაგალითების მოყვანა, როგორც მაგ., **აი. ა. ხ. ნი. ც. ხ. ნ.**-ის („სათნობა“) წაკითხვა **აი. ა. ხ. ნი. ც. ხ. ნ.**-ად („მოციქულება“), მაგრამ აქ ევების ეს მცდარობა უფრო დედნის ვარიანტობისაგან თუ რედაქციულობისაგან მომდინარეობდეს, ვიდრე პირველ შემთხვევაში.

ლექსიკის მხრივაც ქართული ტექსტი სომხურის გავლენას განიცდის. აქ, რასაკვირველია, გადამწყვეტი არაა ისეთი ძველად ფართოდ გავრცელებული ხმარება სომხურთან საერთო სიტყვებისა (რომელთაც ვხვდებით არა მარტო ნათარგმნ ძეგლებში, არამედ ორიგინალურშიც), როგორცაა ჩვენი ძველით:

1. კათალიკოზობა — **კაქილიქსიილიქხანი** „რ³ი იწოდების... და კათალიკოზობა“ (№ 95, გვ. 1221 სვეტი I 20) „**ი. რ. ანი. ა. ნ. ხ. ს. კ. ი. ჯ.**“
ს. კაქილიქსიილიქხანი“;

1 ჭ არ მოიპოვება ნაბეჭდში. 2 დაბეჭდილშია: **არხანან**. 3 ნაბეჭდში: **კიჯქს**.

2. მანქანა—*მხნეხნაკი*, „და მანქანითა დაიცემოდეს ასონი“ (№ 95, გვ. 1218 სვ. II₂₁) „*ს მხნეხნაკიქ ჰმნ აერქხალ ქრჩქრს ანაძამე ზიგა*“;
3. ოხქანი—*ქაქანან*: „ბ^რ ოხქანი აღსრულდებისა“ (№ 95, გვ. 1219, სვეტი I₃₀) „*ჩასქ ქაქანან¹ კათარაბჩ*“;
4. პატივი—*ყათიქ*: „და პატივად აქუნდა მას“ (№ 95, გვ. 1221, სვეტი I₁₃) „*ს² იანერ ვაკნ ყათიქ...*“; და ცხონდა იგი ყ^რლითა წესითა პატივისათა „(№ 95, გვ. 1221, სვ. I₁₆) „*ხ³ (ხაბეჭდში: ირ) ქარხეაღ (ხელნაწ.: ქერაყაღ) ზა ამნაყნ აა-თქანანქ (ხელნაწ. ასოქანანაღ) ყათიქ*“ (ხელნაწ.: *ს ყათიქ*);
5. პატივი—*ყათიქ*: „და აწ დაჰკსნდინ პატიყნი ესე“ (№ 95, გვ. 1219, სვეტი II₃₁) „*ს.კ.კ³ ლიბეჩნ⁴ აკ⁵ ყათიქქ*“; „და აღსრულებაჲ პატიყთაჲ ზ^ა ქრისტეანეთა“ (№ 95, გვ. 1220, სვ. I₆) „*ს ყათიქქ ჩხჩხღ. ირ ქ ქერაყ მერ*“;
6. სატანჯველი—*თანჯან*: „და ყ^რლითა მათ სატანჯველთა“ (№ 95, გვ. 1218, სვ. I₁₈) „*ს ამნაყნ... ზნარქე თანჯანაყნ*“; ახილვად იგი სატანჯველთაჲ (№ 95, გვ. 1218, სვ. II₁₄) „*ღქ თხაქლ თანჯანაყნ*“;
7. სპარაზენი—*საყაოაღენ*: „რ^ალსა შესძინებდეს მათ ზ^ა სპარაზენნი იგი“ (№ 95, გვ. 1218, სვ. I₂₄) „*ღორ კანაქჩქრს ქ ქერაყ ზიგა საყაოაღენ*“; „რ^ა გარე შეიცვეს სპარაზენთა ძალთა“ (№ 95, გვ. 1220, სვ. II₃₁) „*ყათიხეჩნ ყაღარხეჩნ საყაოაღენღნ ვაღრაყნ*“ (ვირაყ ნაბეჭდშია).
8. ქალაქი—*ვაღაღ*: „შევაგინენით ქალაქნი ზუნენი“ (№ 95, გვ. 1219, სვ. II₁₀) „*ყაღბხეიღ (ხელნაწ.: ყაღბქ) ვვაღაღა მერ*“; „და იყო ქალაქი ერთი“ (№ 95, გვ. 1220, სვ. II₂₄) „*ღქ ანა (abs. ხელნაწ. ვი) ვაღაღ მქ*“;
9. ქეშმარიტი—*ღამარქათ*: „და სახესა აჩუნებდეს ფარულად ძალისა საღმრთოჲსა ქეშმარიტად“ (№ 95, გვ. 1220 სვ. II₈) „*ს ვაღარქანასკ ვიღყანსქ ქ ბაბილქ ვაღრიქხანან ზიგა ქ ღამარათქჩნ*“ (ნაბეჭდშია: *ს ვორქანასკ ბაბილქ ვორიქხანან სათილბიქ ვიღყანსქ ქ ღამარქათ...*);
10. დიკტოსი—*ღჩქითი*: „და პატივად აქუნდა მას დიკტოსობაჲ“ (№ 95, გვ. 1221, სვ. I₁₂) „*ს (abs. ნაბეჭდში) იანერ ვაკნ ყათიქ, ვჩ ანიონქრ ზორა ვჩქითი*“ (ნაბეჭდში *ღჩქითი*] *იყაითი*).

ამათი ხმარებაჲ ყველგან იქ, სადაც კი სომხურს მოეპოება, ცხადია, ერთგვარ დამოკიდებულებაზე მიგვივითითებს. ქართულ ტექსტში ასეთ შემხვედრ სიტყვათაგანს სომხური აფიქსი გააჩნია, რაც უეჭველია სომხურზე დამოკიდებულებას გულისხმობს. ეს სიტყვაა: მაგისტრატონი, რომელშიაც -უთვნ-ი სომხური სუფიქსია: *-ილქჩნ*, მაწარმოებელი აბსტრაქციული სახელისა. ადგილი, სადაც იგი იხმარება, შემდეგნაირად იკითხება:

¹ ხელნაწ.: *ქ ქაქანან* ² ნაბეჭდში: *ს abs.* ³ ნაბეჭდში: *აკ* ⁴ ხელნაწერში: *ლიბეჩნ* ⁵ ხელნაწერში: *ზიგა ს*

სომხურად:

*იძ ანიოანხალ კიჯი¹ ზიგანს²
მაფხაორიოქჩან³ კ ლაქიოქილი-*
ქჩან:

ქართულად:

რომელი იწოდების მაგისტრუთვნი და
კათალიკოზობაჲ.

ქართ. ძველის სომხ-დან ნათარგმნობის დამადასტურებელ დანარჩენ ნიშ-
ნებს, სინტაქსსა და სტილს, აღარ ვეხებით. აქ ისეთი რამ ხელშესახები არც შე-
გვინიშნავს. და ეს შესაძლოა იმიტომ, რომ ძველ ქართულსა და ძველ სომხურს ამ
მხრივ ბევრი რამ საერთო აქვთ. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქართული
ტექსტი სომხურთან, კერძოდ დაბეჭდილთან, ახლოს მდგომია. მას რამდენადმე
თავისებურებაც ახასიათებს: ზოგიერთი ადგილი შემოკლებით არის გადმოცე-
მული, ისე როგორც ერთგან ერთი წინადადება მეტიც მოეპოება. ეს შემთხ-
ვეები კი იმაზე მიგვითითებს, რომ ქართული ტექსტი სომხურის თავისებური
ვარიანტისაგან მომდინარეობს.

დასასრულ, ცალკე უნდა შევნიშნოთ ერთი სიტყვის შესახებ, რომელიც ჩვენს
ხელთ არსებული სომხური მასალის მიხედვით ვერ იხსნება. ეს არის გაზაკი.
იქ კ ლიქმანს⁴ ჟინიყაყი⁵ ძეღ-
ფიანა არხალ⁶ ზ ბაქრა მათანენ
ქ ზერქი ლინიყა⁷ ზიგა ვესალ ქა-
რს⁸ კ ლაქიენ ლაყარ ზაქალ ქ
კრს⁹, კ კორამ ლიანყაყხალ სა-
საქანაქ¹⁰ ქ ქირაქ ქჩიქანუ¹¹ კ ჟა-
მაქ¹² ზიგა არქანს¹³.

რ კერძოთა პონტოჲსათა ლერწამნი
განმახუნიან და მწუერვალსა თითთა
მათთასა ფრცხილთა მათთა განაცუ-
მიდეს და გაზაკთა ბრპენი დადნობი-
ლი მღულარე სასტიკად გარდაასხიან
ბექთა მათთა და ზურგთა.

რა უნდა იყოს გაზაკი? შესატყვისი სომხურში არათერია. იქ ბრპენს (*ლაყარ*)
წინ უძღვის *ლაქიენ* (ზოგთა), რასაც გაზაკთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს.,
სულხან-საბა ორბელიანი, რომელსაც ეს სიტყვა, როგორც დამოწმებიდან ჩანს
ჩვენი ტექსტიდან აქვს აღებული,¹³ შემდეგს ამბობს მის განსამარტავად: „გაზაკი
გაზავე ნაკუთლისა („გაზაკთა ბრპენი განდნობილი გარდაასხიან ბექთა და
ზურგთა მისთა“ სერგისის მეტაფრ. C)». გაზაკი განმარტებული აქვს როგორც
„ნაკუთლის დასასრული“. დ. ჩუბინაშვილს ეს სიტყვა განმარტებული აქვს
როგორც „წვივთ ნაკუთლის მსხვილი ძარღვი დასასრული ქუსლთანა“¹⁴. სულხან-
საბა რომ ამას ასე გულისხმობდეს, დამოწმებულ ადგილს ასეთი ციტატის სახით
არ მოიყვანდა, აქიდან ხომ „გაზაკთა“ მსაზღვრელად ჩანს ბრპენისა! თუ იგი
მართლაც მსაზღვრელია, მაშინ იგი ნაკუთლის დასასრულს არ უნდა აღნიშნავ-
დეს. ერთი სიტყვით, აქ ბუნდოვანობაა. ეგების მას სომხური მრავალთავის სხვა
ნუსხამ ანდა წყარომ მოჰფინოს ნათელი...

¹ დაბეჭდილში: *კიჯჩი*; ² იქვეა: *ზიგანს*; ³ იქვეა აგრეთვე *მაფხაორიოქჩან*; ⁴ *იქ* და
ახს. ნაბეჭდში. ⁵ ნაბეჭდშია: *კიქმანს*; ⁶ *ჟინიყაყი* *იქ*—ნაბეჭდში. ⁷ იქვეა: *არხალ*
⁸, ნაბეჭდშია: *იქიქაყ*; ⁹ იქვეა: *ქარს*; ¹⁰ *ლიანყაყხალ სასაქანაქ* [*ლიაქ* *ქ რაოქ ანი*
(ნაბეჭდში); ¹¹ *ქჩიქანუ* და *ქამაქ* (ხელნაწერში) ¹². ნაბეჭდშია: *არქანს*;

¹³ სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ.
ა. შანიძის რედაქციით გამოცემული, ტფ. 1923 წ.

¹⁴ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ, 1887 წ.